

# საბა

2025, მარტი

N3 (351)

ეკლესიური გარემოების უცხოური განვითარების გეგმა  
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA

## მიზანი გარემოა 2025





## სარჩევი

რედაქტორის მვერდი ...	3-4
პათოლიგი ეკლესია	
მსოფლიოში.....	5-6
ჩვენი ეკლესია.....	7-9
სოციალური მვერდი - ინერი.....	10-11
ჩანართი:.....	I- IV
იგედი უპხოზ	
ლიტერატურაში.....	12-13
ბიბლიური მვერდი....	14-15
ახალი წიგნები.....	16-17
ინფორმაცია.....	18
ხსოვნა .....	19

ხუნალ „საბას“ რედაქტინ  
ყველა ქალბათონს  
ულოცავს 3 მართს - დედის  
დღესა და 8 მართს - ქალთა  
საერთაშორისო დღეს!



ჩვენი

ეკლესიას

შეოვრება

მარტი

- 5** მარტი - წაცრის ოთხშაბათი, მძიმე მარხვის დღე, დიღმარხვის დასაწყისი
- 19** მარტი - წმ. იოსების დიდდღესასწაული, არლის საკრებულოს დღეობა
- 25** მარტი - უფლის ხარება, ქიათურის საკრებულოს დღეობა
- 26** მარტი - მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება (+1966)





მამა მაბრიელე  
ბრამანთინი CSS  
მთავარი რედაქტორი

## სათონობა და მანკიერება

1425 წელს (ზუსტად 600 წლის წინათ), დიდ-მარხვის უამს, ფლორენციელმა გულმოდგინე მქადაგებელმა, წმ. ბერნარდინო სიენელმა (1380-1444), ირნიულად თქვა: „თუკი რაიმე სულიერ ან ზნეობრივ სათნოებას არ გამოიმუშავებ, დაემსგავსები ბოსელში გამოკეტილ ღორს, რომელიც ჭამს, სვამს და სძინავს. ჭამა-სმის, ძილისა და ღრუტუნის გარდა, მას სხვა არაფერი აინტერესებს... თუ სათნოების გარეშე ცხოვრობ, ისეთივე უნაყოფო იქნები, როგორც ღელის ტირიფი. ღელე მანკიერი ადამიანების გონებაა, რომელიც, ღელეს მსგავსად, მიედინება ხორციელი ვნებისაკენ, რაც თვალსა თუ გონებას იტაცებს. და რჩება ფუჭი და უნაყოფო ლერნამი: ყოვლად უსარგებლო, როგორც ღელის ტირიფი და იქცევა არაფრისმომცემ არარაობად“. ეს ის საუკუნეებია, როდესაც ჯერ კიდევ საუბრობდნენ სათნოებებსა და მანკიერებებზე; ამ თემატიკის მიხედვით იხატებოდა ეკლესიების კედლები,

მისი კარიბჭეები, ნაგებობების ფასადები, მუნიციპალური შენობების დარბაზები... და დღეს?

დღეს ეს სიტყვები არც პოპულარობით სარგებლობს და არც მოწონებას იმსახურებს; თითქოს სრულიად მოძველებულ შინაარსობრივ და ენობრივ დატვირთვას ატარებენ, ისეთს, რასაც არ შეუძლია წაიკითხოს, განმარტოს და შეცვალოს თანამედროვე ადამიანის ეთიკურ-ფსიქოლოგიური ჰორიზონტი. ამბობენ, რომ სათნოებაში მეტისმეტი სიმკაცრე, მეტისმეტი უარყოფა, მეტისმეტი თვალთმაქცობა და გულუბრყვილობაა; ძნელად თუ დაივიწყებს კაცი ამ სიტყვებს: „ხშირად ჩვენი სათნოება სხვა არაფერია, თუ არა შენიღბული მანკიერება“. და მანკიერება? BBC-ის მიერ რამდენიმე წლის წინ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობას აღარ სჯეროდა, რომ „შვიდ“ მომაკვდინებელ ცოდვას მათ ცხოვრებაში რაიმე კავშირი ჰქონდა.



მიუხედავად ამისა, სიტყვა „მანკიერება“ დღე-საც ხშირად გამოიყენება; ვსაუბრობთ მოწევის, ალკოჰოლის, აზარტული თამაშების, სისასტიკის, ფანატიზმის მანკიერებებზე... თუმცა, თუკი ამ „მანკიერებებს“ ყურადღებით დავაკვირდებით, სინამდვილეში ისინი სულაც არ გულისხმობენ ეთიკური მოდელის იდეურ დარღვევას, უფრო მიანიშნებენ რთულ პიროვნულ პრობლემებზე, რომელიც პირდაპირ მორალურ საკითხებს არ უკავშირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტერმინი „მანკიერება“ დღეს, ჩვეულებრივ, ნიშნავს სისუსტეს, რაც გულისხმობს ამა თუ იმ ინდივიდუალური არჩევანიდან და ქმედებიდან გამომდინარე შედეგების მართვის უუნარობას, ამიტომ ის შეიძლება მივიჩნიოთ ნაკლად ან „უმარისობად“, რომელიც არ აკმაყოფილებს საკმარის მოთხოვნებს, იმისთვის რომ ვიყოთ ან ვიგრძნოთ თავი ადეკვატურად იმ სამყაროსთან, რომელშიც ვცხოვრობთ.

თანამედროვე ნიჟილიზმი არად დაგიდევთ მანკიერებებს, რადგანაც არ სჯერა სათნოებების; მას არ შეუძლია ადამიანურ ქმედებებში გამოყოს ავთენტური დეგრადირების ან გაუკულმართების ნიშნები, ვინაიდან ვერ ადგენს სავალდებულო ეთიკურ ნორმებს. როდესაც სათნოებისა და მომაკვდინებელი ცოდვების შვიდეულის იდეა გაჩნდა, ცხადია, კულტურული ფონი სრულიად განსხვავებული იყო, სასწორზე იდო ადამიანის სულის გადარჩენა, როგორც მაშინ ამბობდნენ; ფუნდამენტური (კარდინალური: წინდახედულობა, სამართლიანობა, სიმტკიცე, ზომიერება და საღვთისმეტყველო: რწმენა, იმედი, ქველმოქმედება) და მომაკვდინებელი ცოდვები (ამპარტაციება, სიძუნე, შური, მრისხანება, სიძვა, ნაყროვანება, მცონარობა) საუკუნეების განმავლობაში უაღრესად მნიშვნელოვან ინტელექტუალურ საქმიანობას

წარმოადგენდა. ამან საშუალება მოგვცა, გამოგვეკვლია ვნებებისა და აზრების პირქუში სამყარო, რომელსაც ადამიანის სული წარმოადგენდა და აღგვეჭურვა შესაბამისი იარაღით ბოროტებასთან საბრძოლველად. თუმცა, ამ იდეის მდიდარი და ზოგჯერ ცნობისმოყვარე ისტორიის კვალი და ნარჩენები დღესაც ამოტივტივდება ხოლმე, როდესაც კითხვას ვსვამთ სამყაროში ყოფნის ჩვენს კონკრეტულ გზასა და კრიტერიუმებზე, რომელიც ჩვენს მორალურ არჩევანს არეგულირებენ. მიუხედავად ყველაფრისა და ყოველივეს მიღმა, როდესაც ვსაუბრობთ მანკიერებებზე, ყოველთვის გვრჩება შთაბეჭდილება, რომ საკუთარ თავზე ვსაუბრობთ.

და თუ ცოდვა ღმერთისა და მის მიერ დადგენილი ზნეობრივი წესრიგის შეურაცხყოფაა, მანკიერება კიდევ უფრო საშიშია ადამიანისათვის, რადგანაც სულში ფესვგადგმული განწყობაა, „აქედან არაჯანსაღი მიღწეუკილებები მომდინარეობენ, რომლებიც აბნელებენ სინდისა და... ცოდვა მიისწრაფვის გამრავლებისა და გაძლიერებისაკენ...“ (კეკ. 1865), ამიტომაც მათთან ბრძოლა ისევე რთულია, როგორც სარეველების ძირფესვიანად ამოძირვა. ამის მიღწევა მხოლოდ ძალისხმევითა და საკუთარი გულის დაცვითაა შესაძლებელი... მაშ, ბედნიერ დიდმარხვას გისურვებთ 2025 წელს!



## რუსულად ავალიზილი

**„ჩვენ ერთობნები მვერდება“**

6 თებერვალს წმიდა მართას სახლში პაპი ფრანცის კე აღმოსავლეთის (სომხეთის, ეთიოპიის, ერიტრეის, მალანკარის, ასურეთის) მართლმადიდებელი ეკლესიების ახალგაზრდა მღვდელმსახურებს

და ბერებს შეხვდა. პონტიფიქსმა აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიკერი კრების და რწმენის სიმბილოს შექმნის 1700 წლისთვის დამდეგს. „რწმენის აღსარებისთვის ჩვენ ერთმანეთი გვჭირდება. ნიკეის მრნამსში, მის პირველ ვერსიაში, ზმნა მრავლობთ რიცხვშია - „გვნამს“. ნუ დაგვავიწყდება, რომ რწმენის სიმბოლო, უპირველეს ყოვლისა, საქებარი ლოცვაა, რომელიც ღმერთთან გვაკავშირებს. ღმერთთან კავშირისთვის კი ერთობა კვწირდება - ერთობა ქრისტიანთა, რომლებიც ერთ რწმენას აღიარებენ. ეშმაკი მიჯნავს, მრნამსი კი აერთიანებს. რა მშვენიერი იქნებოდა, მრნამსის ყოველი წარმოთქმისას ყველა ტრადიციის ქრისტიანებთან ერთობას რომ ვგრძნობდეთ. დაე, ჩვენ-ჩვენს ენაზე, ერთად წარმოვთქვათ ნიკეის მრნამსი“, - აღნიშნა თავის სიტყვაში უწმიდესმა ფრანცისკემ.

**წმიდა საყდრის წარმომადგენელი ტრამპის  
ადმინისტრაციის ხისტი ზომების შესახებ**

„ეს ხისტი ზომები აზარალებს და აშინებს ადამიანებს. ჩვენ მხოლოდ იმის იმედი გვაქვს, რომ ეკლესია, მისი მორწმუნები და კეთილი ნების ადამიანები შეძლებენ მოწყვლადთა დახმარებასა და დაცვას“, - განაცხადა 10 თებერვალს სააგენტო Associated Press-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ადამიანის მდგრადი განვითარების დიკასტერიის პრეფექტმა, კარდინალმა მიქაელ ჩერნიმ. იმავე დღეს საქველმოქმედო ორგანიზაცია „კარიტასმა“ თავის ოფიციალურ საიტზე გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც ნათევამია: „კარიტასი აღიარებს ყველა ახალი ადმინისტრაციის უფლებას გადახდოს უცხოური ქვეყნების დახმარების სტრატეგიას. მაგრამ სიხისტე და ქაოსურობა, რომლითაც ეს გადაწყვეტილება ხორციელდება, მილიონობით ადამიანის სიცოცხლესა და ლირსებას ემუქრება. USAID-ის საქმიანობის შეჩერების შედეგად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარების გარეშე დარჩება მრავალი ადამიანი, შეფერხდება ჰუმანიტარული დახმარების სფეროში ათწლეულების განმავლობაში მიღწეული პროგრესი, რეგიონებში, რომლებისთვისაც ეს დახმარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მიღიონობით ადამიანი სიღატაკისა და სიკვდილისთვის გაიწირება“.



პრეზიდენტობის პირველი დღეს, 20 იანვარს, დონალდ ტრამპმა, დაპირებისამებრ, დაიწყო ხისტი პოლიტიკის გატარება იმიგრაციის წინააღმდეგ. გარდა ამისა, საგანგებო განკარგულებით, მან 90 დღით შეაჩერა საგარეო დახმარების პროგრამები. „USAID-ის საქმიანობის მოულოდნელი შეჩერება მილიონობით ადამიანს კი საშინელ სიღატაკეში ცხოვრებისთვის განირავს“, - განაცხადა კარიტასის გენერალურმა მდივანმა ალისტეს დატონმა.

## უნიდესი ფრანცისკუ პატრიმონის აღნიშვნის საერთო თარიღის შესახებ



ქრისტიანთა ერთობისთვის ლოცვის კვირეულის  
დასკვნითი ეკუმენური წირვის აღვლენის შემდეგ

უწმიდესმა პაპმა აღნიშნა, რომ ეს საიუბილეო წელინადი იმედს ეძლვნება და „პროვიდენციალურად“ ემთხვევა ნიკეის კრების 1700 წლისთავს. კრების მრნამსით ჩვენ „გადავლახავთ დაბრკოლებებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მიჯნავდა ქრისტეს სხეულს“. ფრანცისკემ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ 2025 წელს აღმოსავლეთის და დასავლეთის ქრისტიანები აღდგომის დღესასწაულს ერთ დღეს აღნიშნავენ და აღდგომის ერთობლივი თარიღის დადგინება ერთობისკენ გადადგმული გაბედული ნაბიჯი იქნება. „მაშ, ხელახლა აღმოვაჩინოთ ჩვენი რწმენის საერთო ფესვები. მოდით, შევინარჩუნოთ ერთობა“, - მოუწოდა უწმიდესმა ფრანცისკემ ქრისტიანებს.

## ნიკარაგუას დიეტატურა კათოლიკური ორმანიზაციების დევნას მანამრძობა

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორტეგას რეჟიმი მხოლოდ კათოლიკურ ორგანიზაციებს როდი დევნის. მაგალითად, 8 იანვარს სამთავრობო გამოცემა La Gaceta-ში გამოქვეყნდა ცნობა, რომ საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია Save the Children „ნებაყოფლობით“ წყვეტს თავის მუშაობას ნიკარაგუაში. შეჩერებულია ებენეზერის ქრისტიანული მისიონერული ფონდისა და მატაგალპას ბაპტისტური ეკლესიების ასოციაციის საქმიანობა. გასულ წელს დიეტატურამ დახურა 1500, მათ შორის, 678 ქრისტიანული ორგანიზაცია. რაც შეეხება კათოლიკე ეკლესიას, La Gaceta იტყობინება დომინიკელი მოწყალების დების საქმიანობის შეჩერების შესახებ. დაიხურა მატაგალპას სემინარია. უფლებადამცველი, წიგნის „ნიკარაგუა. დევნილი ეკლესია“ ავტორი, მარტა პატრიცია მოლინა აცხადებს, რომ პრეზიდენტ დანიელ ორტეგას მთავრობამ გააძლიერა მეთვალყურეობა მატაგალპას ეპარქიის სამღვდელოებაზე და რეჟიმი ეპარქიის სრულ ლიკვიდაციას ცდილობს. „მღვდლები მუდმივი საფრთხის ქვეშ, პატიმრობის ან ქვეყნიდან გაძევების მოლოდინში ცხოვრობენ. დიეტატურა ქვეყნის „ათეიზაციას“,



რწმენის ამოძირებას ცდილობს. მატაგალპას მრევლი თავისი ეკლესიის ერთგულებით გამოირჩევა. ამიტომაც მძვინვარებენ აქ მისა მტრები, ამიტომ ცდილობენ მის სრულ განადგურებას“, - აღნიშნა უფლებადამცველმა. ამ დროისათვის ბოლო შეტევა რეჟიმმა წმიდა კლარას დების ორდენის დებზე მიიტანა: მანაგუასა და ჩინანდეგაში მონაზვნები თავიანთი მონასტრებიდან გააძევეს. დებს მხოლოდ პირადი ნივთების გატანის უფლება მისცეს.

## „მანამინარეთი მასმედიის საშუალებები“

კომუნიკაციების მსოფლიო დღისადმი (24 იანვარი) მიძღვნილ ეპისტოლებში პაპი წერს, რომ მასმედიის საშუალებები „იმედს კი არ გვაძლევენ, არამედ შიშს, იყენებენ სიტყვას, როგორც იარაღს,

ავრცელებენ ცრუ ან გამრუდებულ ინფორმაციას“. ფრანცისკე აღნიშნავს, რომ ამგვარი პრაქტიკა მიჯნავს საზოგადოებას და საფრთხეს უქმნის საყოველთაო სიკეთეს.

# ნათლობა სტამბოლის სავანეში

თავათ ფეიერიშვილი



2025 წლის 11 თებერვლის დღესასწაულისათვის, საქართველოდან თვრამეტი ადამიანი სტამბოლში გაემგზავრა, მათ შორის, სამი მღვდელმსახური: ხიზაბავრისა და ვარგავის სამრევლოების ადმინისტრატორი, მამა ბექა ჩილინგარაშვილი, არლისა და უდის სამრევლოების წინამძღვარი, მამა დარიუშ კომადოვსკი და თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის ვიკარი, მამა მიხეილ სურმავა.

თუმცა, გასული წლებისგან განსხვავებით, წლევანდელი წელი გამორჩეული აღმოჩნდა იმით, რომ 65 წლის შემდეგ ქართველი, ქართულ ენაზე, ქართველთა სავანეში, პირველად მოინათლა, მირონი იცხო და პირველი ზიარებაც მიიღო. ყველაფერი კი გაცილებით ადრე დაიგეგმა: 31 წლის გიორგი ბათმანაშვილმა კათოლიკედ მონათვლის გადაწყვეტილება რამდენიმე თვით ადრე მიიღო - „ადრეც მინდოდა მონათვლა, მაგრამ ბევრჯერ გადავდე პირადი საქმეების გამო, ასე გადიოდა წლები... შემდეგ მამა ბექა ჩილინგარაშვილთან ვსაუბრობდი ამ საკითხზე, მითხრა, რომ თებერვალში სტამბოლში აპირებდნენ წასვლას და ვიკითხე, თუ იყო შესაძლებელი იქ მოვნათლულიყვავი“.

როგორც გიორგი ამბობს, სავანეში მონათვლას

მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სწორედ ამ ტაძარში მოღვაწეობდა მისი ერთ-ერთი წინაპარი, მამა ალიოზ (შიო) ბათმანაშვილი, რომელიც სტამბოლის ქართველ მამათა სავანეში 1896 წელს, თერთმეტი წლის ასაკში, გაემგზავრა. 1911 წლის 25 სექტემბერს კი ამავე სავანეში ქართული რიტით მღვდლად ეკურთხა.

„აქ მოღვაწეობდა ჩემი წინაპარი შიო ბათმანაშვილი. ამ მუსლიმურ ქვეყანაში ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ სავანე, რომელსაც უძღვებოდნენ და მთელ ცოდნასა და ენერგიას დებდნენ სასულიერო და საერო საქმეში. ვფიქრობ, როგორც ჩემთვის, ასევე ყველასთვის, ვინც ამ დღესასწაულზე სტამბოლში ვიმყოფებით, ძალიან მნიშვნელოვანი ადგილია. აღფრთოვანებულები, ემოციით სავსენი ვართ და აქ კიდევ აუცილებლად დავბრუნდებით“, — აღნიშნა გიორგიმ *catholic.ge*-სთან საუბრისას.

ნათლობის, მირონცხებისა და პირველი ზიარების საიდუმლოებების აღვლენა ქართველ კათოლიკეთა სავანეში ემოციური აღმოჩნდა მამა ბექა ჩილინგარაშვილისთვისაც. „როგორც მღვდელს, რა თქმა უნდა, რამდენიმე ნათლობა მაქვს აღვლენილი, მაგრამ ეს ნათლობა იყო განსაკუთრებული. ჩემთან ერთად მყოფმა ერთ-ერთმა მღვდელმა მითხრა,

რომ როდესაც ამ საიდუმლოს აღვასრულებდი და ლოცვებს ვკითხულობდი, ხმა მიკანკალებდა, რადგან ძალიან განვიცდიდი, ისე, თითქოს ჩემთვის პირველი წმიდა წირვა ან პირველი ქადაგება ყოფილიყო... ვიდექი იქ, სადაც ჩემმა წინაპრებმა გადადგეს თავიანთი სულიერი გზის პირველი ნაბიჯები და შემდეგ უკვე ძალიან ბევრი რამ გააკეთეს, როგორც სულიერი, ისე ეროვნული კუთხით. ამიტომ, როცა რაღაც ფორმით მათ მიერ დაწყებულ საქმეს აგრძელებ, ძალიან ემოციურია. ეს მომენტი ჩემი ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება და ეს სიხარული მუდამ დარჩება ჩემში“, — ამბობს მამა ბექა და იხსენებს, რომ ქართველ კათოლიკეთა სავანეს პირველად ძალიან მოულოდნელად ეწვია, - „პირველად ამ სავანეში 11 წლის წინ მოვხვდი, მაშინ სემინარის მოსამზადებელ კურსზე ვიყავი და ქუთაისში ვსწავლობდი. ერთ დღეს, როცა ბათუმში მივდიოდი მამა გაბრიელე ბრაგანტინთან ერთად, მან მითხრა, რომ რამდენიმე დღის ტანსაცმელი წამელო, რადგან ბათუმიდან თურქეთში მივდიოდით. მაშინ წავედი, როგორც ტურისტი და ბევრი არაფერი ვიცოდი სავანესა და ჩვენს წინაპრებზე, მაგრამ როდესაც სავანის ტერიტორიაზე შევდგი ფეხი, თავი პატარა საქართველოში ვიგრძენი. შემდეგ უკვე, როცა ვეცნობოდი სავანის შესახებ ინფორმაციას, ვნახე, რომ ზუსტად „პატარა საქართველოდ“ იყო მოხსენიებული ეს ტერიტორია“.

ქართველ კათოლიკეთა სავანეში ბოლოს ქართველი რამდენიმე წლის წინ მოინათლა, თუმცა

ნათლობა თურქელ ენაზე აღევლინა. **ეს ქართველი ლუკა ზაზაძე იყო**, სავანის გადამრჩენელი ოჯახის, პავლე ზაზაძის შვილთაშვილი, სიმონ ზაზაძის შვილიშვილი და პოლ ზაზაძის ვაჟი. დღეს თუ სავანის ტერიტორიაზე შენარჩუნებულია ტაძარი, ქართული ხელნაწერები და ბევრი, ჯერ კიდევ გამოუკვლეველი დოკუმენტი, სწორედ ზაზაძეების ოჯახის დამსახურებაა.

„მადლობელი ვართ ნატალია ზაზაძის (სიმონ ზაზაძის შვილი), რომ გვიმასპინძლა, დაგვათვალიერებინა ბიბლიოთეკა, ვნახეთ წინაპრების ჩანაწერები და აქ დაცული წიგნები. თითქმის ყველა ჩვენგანის ერთი წინაპარი მაინც აქ მოლვანეობდა. ჩვენთან ერთად იყო შალვა ვარდიძის პირდაპირი შთამომავალი საბა ვარდიძე“, — ამბობს გიორგი ბათმანაშვილი.

გიორგი ბათმანაშვილის სახით, ამიერიდან კათოლიკე ეკლესიას კიდევ ერთი შვილი შეემატა, მამა ბექა ჩილინგარაშვილი კი იმედოვნებს, რომ მისი მაგალითი სხვა ადამიანებისთვის მისაბაძი გახდება: „იმედი მაქვს, რომ ეს იქნება სტიმული იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ჯერ არ მიუღიათ ნათლობის, მირონცხების, ჯვრისწერის საიდუმლოებები. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ აღასრულებს ამ საიდუმლოებებს, მთავარია, რომ ვპრუნდებოდეთ და პატივს მივაგებდეთ იმ ადგილებს, რომლებიც ჩვენი, სამხრეთ საქართველოს, სულიერი და ფიზიური სსნის ცენტრი იყო“.



# ხათი საჩუქრად

პატა ჩუბინიძე



ღვთის შეწევნით, ჩვენს მონასტერში დაბრძანდა ძმა დემეტრეს ხატი, რომელზედაც ასევე გამოსახულია ქართველთა განმანათლებელი და ჩვენი ადმინისტრაციის მფარველი წმიდა ნინო; ხატის ქვემოთ მოცემულია საქართველოს რუკა, საიდანაც ამოზრდილია ვაზი. ეს არის ძალიან ლამაზი სიმბოლო. ხატი იმდენად მომენტია, რომ მამა გაბრიელეს ვთხოვე, დაეწერათ ის მონასტრისათვის. ძმა დემეტრე, რომლის კანონიზაციაც დაწყებულია, პირველი ქართველი კათოლიკეა. აღფრთოვანებული ვარ მისი პიროვნებით, მან ღვთისადმი სიყვარული დაამოწმა მონამებრივი გზით, შორეულ მისიაში. ამიტომ ძმა დემეტრე საქართველოში კათოლიკე მრევლისა და ყველა სასულიერო პირისათვის მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი მისიონერი, რომელიც შორეულ ქვეყანაში მიდის სახარების საუნიებლად და არ უშინდება არავითარ განსაცდელს.

ძმა დემეტრეს ხატის შემობრძანებით ძალიან გაიხარეს ჩემმა თანამოძმებმა. ჩვენ ყოველ საღამოს ვლოცულობთ მის წინაშე და მას ვავედრებთ საქართველოს, ჩვენს ეპისკოპოსს, ვლოცულობთ ყველა სასულიერო პირისათვის, ყველა საკრებულოსათვის და, რაც მთავარია, მოწოდებულთათვის; ვლოცულობთ აგრეთვე ახალი ცენტრის მშენებლობისათვის. ძმა დემეტრეს მივმართავთ ასევე პირადი სათხოვარით. მიხარია და ძალიან მადლიერი ვარ ჩვენი წინამძღვრისა და მამა გაბრიელესი, რომ ჩვენს პატარა, კოხტა და სიყვარულით სავსე მონასტერში დაბრძანებული არის ძმა დემეტრეს ხატი.

დაე, ძმა დემეტრემ დაიცვას ჩვენი პატარა და სიყვარულით სავსე საქართველო, ჩვენი ოჯახები, იყავით ბედნიერნი, რწმენით სავსენი და, რაც მთავარია, ერთმანეთის მიმართ სიყვარულით გამსჭვალულნი. გფარავდეთ ღმერთი ყველგან და ყოველთვის!



# სიცოცხლე ჩასახვის წუთიდან უნდა იქნეს დაცული

კათოლიკე ეკლესიის პოზიცია აბორტთან და-კავშირებით მკაფიო და შეუვალია, იგი ეფუძნება სწავლებას ადამიანის სიცოცხლის ღირსებაზე, ჩასახვიდან ბუნებრივ სიკვდილამდე. კათოლიკური სწავლების თანახმად, აბორტი სერიოზულ ცოდვას და მორალურად მიუღებელ საქციელს წარმოადგენს, ვინაიდან ხელყოფს სიცოცხლეს, რომელიც ღმერთმა ადამიანს უბოძა. საუკუნეების განმავლობაში, ეკლესია იცავდა ამ პრინციპს, წმიდა წერილის საფუძველზე, ტრადიციისა და პაპის სწავლებათა მიხედვით.

## ეკლესიის სწავლება აბორტის შესახებ

კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო გვასწავლის, რომ „ადამიანის სიცოცხლე აბსოლუტურად დაცული უნდა იქნეს ჩასახვის მომენტიდანვე. მისი არსებობის პირველი წამიდან უნდა იქნეს აღიარებული ადამიანის პიროვნული უფლებები, რომელთა შორის ყოველი უდანაშაულო არსების სიცოცხლის უფლებაც არის“ (კეკ. 2270). ეკლესიას მტკიცედ სწამს, რომ წაყვითებული ჩასახვის პირველივე წამიდან პიროვნებაა და ამიტომაც არ არსებობს მორალ-

ური გამართლება ორსულობის შეწყვეტაზე. ეს პრინციპი ეფუძნება სიცოცხლის სიყვარულს და იმის დაცვას, რაც ღმერთის სიყვარულს გამოხატავს ყოველი კაცის მიმართ. საუკუნეთა განმავლობაში, ეკლესიას არ გადაუხვევია თავისი პოზიციიდან აბორტის შესახებ, გმობდა ამ პრაქტიკას, როგორც მძიმე ცოდვას. აბორტი მხოლოდ კათოლიკური მორალით როდია უარყოფილი, იგი ქმნილების ჩანაფიქრის შეურაცხყოფაც არის.

## ბოლო პაპები და მათი პოზიცია აბორტის შესახებ პაპმა იოანე XXIII-მ (1958-1963 წწ.), თავისი პა-

პობის პერიოდში, საფუძველი ჩაუყარა ეკლესიის სწავლებას აბორტის შესახებ, იგი ეყრდნობოდა ვატიკანის II კრებას, ანუ მოვლენას, რომელმაც ეკლესიის განახლებას დაუდო სათავე. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად აბორტის თემაზე არ ამახვილებდა ყურადღებას თავის ენციკლიკაში Pacem in Terris (1963), ადამიანის ღირსებას გვერდს ვერ აუვლიდა, რამაც მოგვიანებით გავლენა იქონია პაპის სწავლების პოზიციაზე აბორტის შესახებ.

**პაპი პავლე VI (1963-1978)** ამ საკითხს ეხება ენ-





## პრა მხოლოდ დიღეთა...

ადამიანები სხვადასხვა მიზეზით უარს ამბობენ გარკვეული პროდუქტების მიღებაზე. მიზეზი მრავალი და სხვადასხვაგვარია: რელიგიური, დიეტური, ჯანმრთელობასა თუ სილამაზესთან დაკავშირებული, ნაკარნახევი სპორტული აქტივობით... მაგალითად, იმისთვის რომ სპორტსმენი ჯანმრთელი იყოს და წარმატებას მიაღწიოს, ან იმისთვის რომ მსახიობმა სილამაზე შეინარჩუნოს, საჭიროა გარკვეული დიეტის დაცვა.

დავით ხარაბაძე, საქართველოს ნაკრების მთავარი ექიმი, აღნიშნავს, რომ ფეხბურთელისთვის სპორტული წარმატება მხოლოდ ვარჯიშზე არ არის დამოკიდებული: „სწორად შერჩეული კვება ისეთივე მნიშვნელოვანი ელემენტია, როგორც ფიზიკური მომზადება. კვების რეჟიმი ფეხბურთელისთვის აუცილებელი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს ენერგიის აღდგენას, გამძლეობის ზრდასა და ტრავმების პრევენციას. ხშირად დიეტას ცვლიან მარხვით, თუმცა სპორტული კვება სრულიად განსხვავებულია - ეს არის მიზანმიმართული რეჟიმი, რომელიც ორგანიზმს ოპტიმალურ მუშაობაში ეხმარება და სისუსტისაგან დაცვას უზრუნველყოფს“.

ია ფარულავა, ქართველი მსახიობი და ტელეწამყვანი, გვიზიარებს თავის გამოცდილებას, თუ როგორ მოახერხა წონის დაკლება მკაცრი დიეტებისა და სტრესის გარეშე: „მე არ ვკრიბალავ არანაირ საკვებს, არ ვთვლი კალორიებს და არ ვიტანჯები შიმშილით. ჩემი მეთოდი მარტივი და ყველასათვის ხელმისაწვდომია. მთავარი არის არა ის, თუ რას ვჭამთ, არამედ რამდენს ვჭამთ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ეტაპიბრივად შემემცირებინა ულუფების ზომა. დღემდე ვჭამ ყველაფერს, რაც მინდა, მათ შორის, ტკბილეულსაც, უბრალოდ, პატარა ულუფებით. მნიშვნელოვანია ბალანსი და ზომიერება, მეტი მოძრაობა, მაგრამ არა ზედმეტად ინტენსიურად“.

ეს არის ორი საინტერესო მაგალითი მრავალთა შორის... რაც შეეხება რელიგიურ მიზეზებს, ამ დიდმარხების დასაწყისში, როგორც იმედის მომლოცველები, გთავაზობთ სხვადასხვა სარწმუნოებისა და აღმსარებლობის ადამიანების რამდენიმე მოსაზრებას, რათა მტვერი გადავწმინდოთ იმ მიზეზებს, რის გამოც ჩვენ, როგორც კათოლიკებს, არა მხოლოდ შეგვიძლია, არამედ გვმართებს კიდეც დამაჯვერებლად მარხვა.

მამა ბაბრიელი ბრამანთინი



## მარხვა

მომხმარებლური საზოგადოებისათვის ამ „უხერხულ“ არგუმენტზე საუბარს დავიწყებ პაპ ფრანცისკეს მოსაზრებით: „დიდმარხვა: მონანიებისა და მარხვის გამორჩეული ქამია. მაინც როგორ მონანიებასა და მარხვას ითხოვს უფალი ადამიანისაგან? (...) ეს ეხება არა მხოლოდ „კვებით არჩევანს“, არამედ ცხოვრების წესს, როდესაც ადამიანი უნდა იჩენდეს „თავმდაბლობას“ და თანმიმდევრულობას, რათა აღიაროს და გამოასწოროს საკუთარი ცოდვები“. სწორედ ღვთის სიტყვა გვაფრთხილებს, რომ ჩვენი მარხვა ნამდვილია (შდრ. ეს. 58,6,10; იერ. 36,6,9; დახ. 6,19; 9,3; იოელ. 2,15). თუ არ შეგიძლია სრულად დაიცვა მარხვა, რომელიც ძვლებსაც კი განაცდევინებს შიმშილს, მაშინ მოკრძალებულად მაინც იმარხულე, მაგრამ ეს მარხვა იყოს ნამდვილი“ (მედიტაცია, 02.16. 2018).

დღეს მარხვის სხვადასხვა სახეობა არსებობს: წყვეტილი, დიეტური, ესთეტიკური, გამაჯანსაღებელი, პროტესტის გამომხატველი შიმშილობით და ა.შ. ჩვენთვის საინტერესოა, რას ნიშნავს ქრისტიანული მარხვა? რატომ უნდა შევიკავოთ თავი ნებაყოფლობით საკვებისა და სასმელისაგან, რაც ესოდენ სასარგებლოა ადამიანის ყოფისათვის?

წმიდა წერილი, მთელი ქრისტიანული ტრადიცია, ეკლესის მამები და ყოველი ეპოქის წმიდანები შეგვაგონებენ, რომ მარხვა, რომელსაც თან ახლავს ლოცვა და მოწყალება (შდრ. მათ. 17, 21), სულიერი იარაღია ცოდვის წინააღმდეგ საბრძოლველად და ისეთ სწებათაგან განსაკურნებლად, როგორიცაა

ნაყროვანება, ალკოჰოლურ სასმელზე, თამბაქოზე, პორნოგრაფიაზე, აზარტულ თამაშებზე, მობილურ ტელეფონზე, ეგოცენტრიზმზე დამოკიდებულება და სხვა. თუკი ჩვენი ცხოვრება დამოკიდებულია იმაზე, რომ გარედან „შევიგსოთ“, მაშინ მონები ვართ და არა თავისუფალი ადამიანები.

მარხვა უფალთან მეგობრობის განახლების საუკეთესო გზაა. ამიტომაც არაერთგზის გაისამის მარხვისკენ მოხმობა ხსნის ისტორიაში. წმიდა წერილის პირველივე გვერდებზე უფალი უბრძანებს ადამს, თავი შეიკავოს აკრძალული ხის ნაყოფის ჭამისაგან: „და უთხრა უფალმა ღმერთმა ადამს: „ბალის ყოველი ხისაგან შეგიძლია ჭამო, მაგრამ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხიდან არ ჭამო, რადგან რა დღესაც შეჭამ ამ ხის ნაყოფს, სიკვდილით მოკვდები“ (დაბ. 2, 16-17). წმიდა ბასილი აღნიშნავს, რომ „მარხვა სამოთხეში დაწესდა“ და „პირველი ბრძანება ამის შესახებ ადამს მიეცა“. შემდეგ დაასკვნის: „მაშასადამე, ჭამისაგან თავშეკავება მარხვისა და თავშეკავების კანონია“ (შდრ. Sermo De jejunio: PG 31, 163 98). ასე მარხულობდნენ მოსე, პატრიარქები (1მეფ. 31.13), მეფე დავითი (2მეფ. 12.16), ეზრა (8.21), ნეემია (9.1), ესთერი და ხალხი (4.3; 9.31), ნინევეს მკვიდრნი (3.9) და ა.შ.

ახალ აღთქმაში იესო მარხვის ღრმა მიზეზებს გვიჩვენებს, განიკითხავს ფარისევლებს, რომლებიც ზედმინევნით იცავდნენ რჯულით დადგენილ მცნებებს, მაგრამ მათი გული შორს იყო ღმერთისაგან. იესო შეგვახსენებს, რომ ნამდვილი მარხვა ნების აღსრულებაა ზეციური მამისა, „რომელიც ხედავს დაფარულში და ცხადად მოგიზღავს“ (მათ. 6,18). თავად იესო გვაძლევს ამის მაგალითს სატანისთვის გაცემული პასუხით, უდაბნოში გატარებული 40 დღის ბოლოს: „არა მხოლოდ პურით ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით“ (მათ. 4, 4). ჭეშმარიტი მარხვა მიზნად ისახავს „ჭეშმარიტი საკვების“ მიღებას, რაც მამის ნების აღსრულებაა (შდრ. იოან. 4, 34). ადამი არ დაემორჩილა უფლის ბრძანებას „კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხიდან არ ჭამო“, მაგრამ მორწმუნე მარხვით ცდილობს თავმდაბლობით დაემორჩილოს ღმერთს, მიენდოს მის სიკეთესა და გულმოწყვალებას.

შეგვიძლია შევაჯამოთ: მარხვა წყალობაა, რომელიც ღმერთისგან უნდა გამოვითხოვოთ, ის კურნავს ხილულ თუ ფარულ მანკიერებებს, გვიცავს დამოკიდებულებისა და ამპარტაციებისაგან; გვალამაზებს და გვათავისუფლებს; გვამტკიცებს რწმენასა და ღმერთთან ზიარებაში. როგორ ვიმარხულოთ? სუფთა სახით, სურნელოვანი თავით, თავმდაბლობით, სიხარულით, ღვთის სიტყვაზე

ფიქრით, ნეფე იესოს მოსვლის მოლოდინით, ნეფი-  
სა, რომელიც „ადამის ძეთა უმშვერესია“ (შდრ. ფს.  
44:3), რომელიც მკვდრეთით აღდგა ჩემთვის და  
შენთვის!

დედა მარია მრავალი

## მარხვა - ღმერთთან პიროვნული ურთიერთობის აღდგენის ერთადერთი გზა



პირველმა ადამიანმა სამოთხეში დაარღვია  
პირველი მარხვა, როდესაც უგულებელყო ღვთის  
თხოვნა, რომ არ ეჭამა კეთილისა და ბოროტის  
გარჩევის ხის ნაყოფი (დაბ. 2,17), რადგან მას მოე-  
ლოდა სიკვდილი, მაგრამ სანამ ღმერთი ადამს  
სიკვდილზე ეტყვის, მას დაუსრულებელი სიცოცხ-  
ლის ხის ნაყოფს სთავაზობს (დაბ. 2,9). პირველი  
მარხვა ადამიანისთვის მინიჭებული თავისუფალი  
ნების შესანიშნავი „პრეზენტაციაა“, როდესაც ადა-  
მიანს აქვს არჩევანი სიცოცხლესა და სიკვდილს  
შორის, გადარჩენასა და დაღუპვას შორის, ღმერთ-  
თან ყოფნასა და ულმერთოდ ყოფნას შორის, სამ-  
წუხაროდ, იგი შეგნებულად არჩევანს სიკვდილზე  
აკეთებს. ამრიგად, ადამი, როგორც დაცემული მე-  
სია, აღმოჩნდება მატერიალური სამოთხისა და სი-  
ცოცხლის მიღმა, ერთ დროს ყველაფრის პატრონი,  
სამყაროს პირველი მეფე და მღვდელი, ქმნილე-  
ბათა გვირგვინი და თავისი მეუღლის საყვარელი  
ქმარი, ყველაფრის კარგავს, გაღატაკებულს მხ-  
ოლოდ ერთი რამ აბადია უხვად, პირველი ცოდ-  
ვის უსიცოცხლო ნაყოფი - ეგოიზმი. ეგოიზმი არის  
სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე ხნიერი ცოდვა,  
პარაზიტი, რომლითაც ავადდება ამპარტავანი ადა-  
მიანი, ერთადერთი „ინფექცია“, რომელიც არ გა-  
დაეცემა ერთი ადამიანიდან მეორეს, მაგრამ თავი-  
სი შედეგით აზიანებს ყველასა და ყველაფრეს, რაც  
მის გარშემოა. ამრიგად, მარხვა სამოთხეში დარ-

ჩენის, ღმერთთან ცოცხალი და პიროვნული ურთ-  
იერთობის გაგრძელების ერთადერთი გზაა, გზა,  
რომლიდანაც გადაუხვია ძველმა ადამმა, და გზა,  
რომელზეც დაგვაძრუნა ახალმა ადამმა. თანამე-  
დროვე ადამიანის ცხოვრება, სამოთხისაგან განსხ-  
ვავებით, დახუნდლულია მრავალი ვნებითა და საც-  
დურით, მრავალი აკრძალული ხის ნაყოფითა და  
განსაცდელით, მაგრამ მისთვის, პირვანდელი ადა-  
მიანისაგან განსხვავებით, შვების მომგვრელია იმ  
თავშესაფრის არსებობა, რომელსაც ეკლესია ჰქვია.  
სწორედ ეკლესია სთავაზობს და გამუდმებით შეა-  
სენებს ადამიანს ჭეშმარიტი მარხვის მნიშვნელო-  
ბას, ესე ეგი, პარაზიტის დამარცხების ერთადერთ  
წამალს, სამოთხეში დაბრუნების უმოკლეს გზას  
- მარხვა! მარხვა, უპირველესად, არის ღვთის  
მცნებების საკუთარ თავში დამარხვა, მცდელობა  
საკუთარი გულის ყველაზე ურწყული კუნჭულების  
განოყიერებისა, მარხვა არის კეთილი თესლი, რომ-  
ლის ფესვები ყველა სარეველა ბალაზე ძლიერია  
და რომლის ნაყოფსაც ვერ ეკარება ვერცერთი  
პარაზიტი. მსურს, რეფლექსიად შემოგთავაზოთ  
მაცხოვრის სიტყვები: „და როდესაც მარხულობთ,  
ნუ იქნებით მწუხარენი, თვალთმაქცთა მსგავსად,  
თავ-პირი რომ ჩამოსტირით, რათა მმარხველებად  
ეჩვენონ ხალხს. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ:  
უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური“ (მათე 6, 16).

მღვდელ-მონაზონი ირენეოს შენიშვნის

### მარხვა ისლამში

მარხვა (არაბ. „სავმ“) ისლამის ხუთი ძირითა-  
დი ვალდებულებიდან ერთ-ერთია. ის სავალდე-  
ბულოა მუსლიმებისათვის რამადანის, მთვარის  
კალენდრის მე-9 თვეში, გარდა გარკვეული გამ-  
ონაკლისებისა. მარხვის დროს, განთიადიდან მზის  
ჩასვლამდე, მუსლიმები იკავებენ თავს საკვების,



წყლისა და სხვა ფიზიკური სიამოვნებისაგან. ეს პროცესი ეხმარება მათ სულიერ განვითარებაში, ვნებების შეკავებასა და ღმერთთან დაახლოებაში. რამადანი ყურანში მოხსენიებული ერთად-ერთი თვეა და მის განმავლობაში გარდმოვლინა ყურანი. ისლამის სწავლების მიხედვით, მარხვა მხოლოდ რელიგიური ვალდებულება არ არის, არამედ სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. თანამედროვე მედიცინამ დაადასტურა, რომ ის აუმჯობესებს ორგანიზმის მუშაობას, არეგულირებს სისხლის წნევას, ამცირებს გულის დაავადებებისა და ჯანმრთელობის სხვა პრობლემების რისკს. ყველა მუსლიმი, რომელიც ფიზიკურად და ფისიკურად ჯანმრთელია, ვალდებულია, დაიცვას მარხვა. გამონაკლისები არიან: ავადმყოფები, მგზავრები, ბავშვები, ორსული და მეძმური ქალები, მოხუცები და ფიზიკურად დაავადებული ადამიანები. ზოგიერთ შემთხვევაში, გამოტოვებული მარხვა მოგვიანებით უნდა ანაზღაურდეს. მარხვა მუსლიმებისათვის არის არა მხოლოდ საკვებისა-გან თავშეკავება, არამედ სულის განწმედის, მოთმინებისა და თანაგრძნობის გამოხატულება. იგი აძლიერებს რწმენას, ამცირებს ამქვეყნიურ ცდუნებებს და აერთიანებს საზოგადოებას, რადგან ყველა მორწმუნე ერთდროულად ინახავს მარხვას, განიცდის სიმწირეს და მეტი ყურადღება ეთმობა ქველმოქმედებას. „ჰე თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენთვის მარხვა, როგორც სავალდებულო იყო მათთვის, ვინც თქვენ უწინარეს იყო, ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისაგან“ (ყურანი, ბაყარა 2/183).

მუსტი ადამ შანთაძე

### რა არის მარხვა და რისთვისაა ის საჭირო?

ებრაელთათვის მარხვა გულისხმობს სრულ თავშეკავებას საკვებისა და სასმელისაგან. მარხვა შეიძლება გაგრძელდეს მთელი დღე-ლამის განმავლობაში, სალამოდან სალამომდე, ასე მარხულობენ „იომ ქიფურის“ (ებრ. „გამოსყიდვის დღე“) დროს. სხვა შემთხვევაში, მარხვა გრძელდება დილიდან სალამომდე. რისთვის? ბრძენი ამბობენ, რომ მარხვაში აუცილებელია ადამიანი დაფიქრდეს საკუთარ საქციელზე, მოინანიოს და რაღაც მაინც გამოასწოროს ცხოვრებაში. საჭმელსა და სასმელზე უარის თქმა არის არა თვითმიზანი, არამედ საშუალება, რათა დაეხმაროს ადამიანს იფიქროს იმაზე, თუ როგორ და რატომ ცხოვრობს. უწინარესად, ეს ხელს უწყობს სიამაყის დათრგუნვას, რაც ნამდვილად უშლის ხელს ასეთ საკითხებზე ფიქრს. ადამიანი, როცა გრძნობს, რამდენად სწრაფად სუსტ-დება შიმშილისაგან, უფრო მოკრძალებული ხდება.

მარხვას სხვა მნიშვნელობაც აქვს. ადამიანი სულიერი და ხორციელი არსებაა. სიცოცხლის განმავლობაში იგი არაერთხელ აღმოჩნდება არჩევანის წინაშე - როგორ მოიქცეს, რა თქვას, რომელი გზა აირჩიოს ცხოვრებაში. ბუნებრივია, ხორციელი ბუნება მას უბიძგებს ვნებების დაკმაყოფილებისაკენ, სულიერ მოთხოვნილებათაგან კი ამორებს. ხორცის დათრგუნვით არჩევანი უფრო სულიერებისაკენ იხრება. მარხვა უფრო მეტად ეხმარება იმ ადამიანებს, რომლებიც სულიერი განწმედისაკენ ილტვიან. სავსებით შესაძლებელია, რომ მარხვის დროს სხვებმა არაფერი იგრძნონ, გარდა სისუსტისა, გაძლიერებული მადისა და გალიზიანებისა. მიუხედავად ამისა, მარხვა, რომელიც თორამ და ბრძენმა ადამიანებმა დაგვიწესეს, უნდა დავიცვათ. დროთა განმავლობაში, ადამიანი ისწავლის მარხვის დანიშნულების დაფასებას.

მარხვის განმავლობაში, ჩვეულებრივ, მეტი დრო უნდა დავუთმოთ ლოცვასა და თვითანალიზს, ასევე, ქველმოქმედებას. ებრაელები „იომ ქიფურს“ თითქმის სინაგოგიდან გაუსვლელად ატარებენ, ამასთან, ყველას ამაღლებული განწყობა აქვს, რადგან ეს ის დღეა, როდესაც „რომ ჰამანას“ (ებრაული ახალი წელი) დადგომისას თითოეულისათვის გამოტანილი სასჯელი შეიძლება შეიცვალოს. არსებობს გამონათქვამი: ვის უნდა ასეთ დროს ჭამა? დასანანია დროის დაკარგვა.

რეპინი რვადია კლიმოვსკი



ციკლიკაში *Humanae Vitae* (1968), რომელიც უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს კონტრაცეფციაზე, მაგრამ ფართოდ განიხილავს სიცოცხლის პატივისცემის საკითხს, მისი ყველა ფორმით. პაპი ალბიშნავს, რომ შობადობის კონტროლმა და ადამიანის სიცოცხლის ხელოვნურად კონტროლის მცდელობამ შეიძლება გამოწვიოს სიცოცხლის დეპუმანიზაცია და გაუფასურება.

### ნმიდა იოანე პავლე II (1978-2005)

ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პაპი გახლდათ აბორტის წინააღმდეგ ბრძოლაში. ენციკლიკაში *Evangelium Vitae* (1995) იგი მკაფიოდ იმეორებდა, რომ „აბორტი არის მკვლელობა, ყოველთვის და ყველა ვითარებაში“. თავისი პაპობის პერიოდში მან მტკიცედ შეუწყო ხელი საზოგადოებაში ჩასახვის წუთიდან სიცოცხლის დაცვის პოპულარიზაციას, იგი ყოველთვის ხაზგასმით ალბიშნავდა, რომ ადამიანის სიცოცხლე წმინდაა და დაცული უნდა იქნეს.

**პაპმა პეტრე მერცხლე XVI-მ (2005-2013)** თავისი წინამორბედის სწავლება გააგრძელა, სხვადასხვა ვითარებაში დაგმო აბორტი და ხაზგასმით ალბიშნა, რომ „არ არსებობს სიტუაცია, რომელიც აბორტს გაამართლებდა“. ენციკლიკაში *Deus Caritas Est* (2005) მან ხაზი გაუსვა ადამიანის ცხოვრების საზრისს და მის კავშირს ღმერთის სიყვარულთან. თავის გამოსვლებში იგი მოუწოდებდა საზოგადოებას, რომ დაცვა ყველაზე დაუცველი, მათ შორის, ჯერარშობილი.

**პაპ ფრანცის კარდინალი (2013 წლიდან დღემდე)** პოზიცია ასევე შეუვალია აბორტის მიმართ. თავის გამოსვლებში იგი საუბრობდა დღეს გავრცელებულ მაკულატურის კულტურაზე, აბორტი მოიხსენია იმ გლობალური ფენომენის ნაწილად, რომელიც ცდილობს გარიყოს ყველაზე სუსტი და დაუცველი. თავის სამოციქულო მოწოდებაში *Evangelii Gaudium* (2013) იგი საუბრობს ჩასახვის წამიდან ადამიანის სიცოცხლის დაცვის აუცილებლობაზე. ერთ-ერთ გამოსვლაში მან მოუწოდა კიდეც კათოლიკებს, უფრო მეტი თანაგრძნობა და მხარდაჭერა გამოეხატათ განსაცდელში მყოფი ქალებისათვის, ის



ყოველთვის დაჟინებით იმეორებს, რომ აბორტი არასოდეს არის გამოსავალი. გარდა ამისა, პაპი ფრანცის კარდინალი აგრძელებს იმ პოლიტიკის ხელშეწყობას, რომელიც სიცოცხლის დაცვას ემსახურება. 2015 წელს, შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს, იგი შეხვდა კონგრესის წევრებს, რომლებსაც მკაფიოდ განუცხადა ეკლესის პოზიცია აბორტის შესახებ და ის საჭიროება, რომ კანონმდებლებმა უნდა დაიცვან ადამიანის სიცოცხლე განვითარების ყველა ეტაპზე.

კათოლიკე ეკლესის პოზიცია აბორტთან დაკავშირებით უცვლელი დარჩა საუკუნეების განმავლობაში, რაც ადასტურებს, რომ ადამიანის სიცოცხლე ღმერთისგან არის ბოძებული, ამიტომაც უნდა დაცილებათ ის ჩასახვის წამიდან ბუნებრივ სიკვდილამდე. ეკლესის მეთაური ყოველთვის ილამქრებდნენ აბორტის წინააღმდეგ და მხარის უქერდნენ სიცოცხლის დაცვას ყველა მისი ასპექტით. ეკლესია ყოველთვის მოუწოდებს საზოგადოებასა და მორნმუნეებს, მხარი დაუჭირონ მძიმე ვითარებაში აღმოჩენილ ქალებს, ყოველთვის დაცვან ადამიანის ხელშეუვალი ღირსება ჩასახვის პირველი წამიდანვე.

# იგეფი - უპვდავებაში მანუფანილი

### (მ. პენრი, „უკანასკნელი ფოთოლი“)

მარანა პილიტიკა

ვაშინგტონ-სკვერის დასავლეთით, ერთ პატარა უბანში, სადაც იაფფასიანი ბინების მაძიებელმა მხატვრებმა „კოლონია“ დააარსეს, ორმა მეგობარმა გოგონამ სამსართულიანი სახლის სხვენზე სახელოსნო მოაწყო. ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს და, რაკილა სიუსა და ჯონსის (ჯონანას) საერთო ინტერესები და შეხედულებები აღმოაჩნდათ, ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს. ეს მოხდა მაისში, ნოემბერში კი კოლონიას უცხო, უჩინარი და ვერაგი „სტუმარი“

ენვია. მას ექიმები პნევმონიას უწოდებდნენ. ათა-სობით მსხვერპლის შემდეგ მან კონსისაც შეახო მსახვრალი ხელი და იგი საწოლს მიაჯაჭვა. ისედაც სუსტი გოგონა უიმედობამ შეიპყრო და ვერც მზრუნველმა, მოსიყვარულე სიუმ, ვერც ყურადღებიანმა ექიმმა შეძლეს მასში ცხოვრებისადმი ინტერესის დაპრუნქა: „სული, რომელიც მზად არის შორეული და იდუმალი მგზავრობისათვის, ამქეცენად ყველაფრისადმი გულგრილი რჩება“ (ო.ჰენრი). რო-



გორც ექიმმა აღნიშნა, ხელჩაქნეულობამ, უმედობამ ჯონისის გადარჩენის მხოლოდ ერთი შანსი დაუტოვა ათი შესაძლებლობიდან. აკვიატებულმა ფიქრმა, რომ მისი სიცოცხლე თავისი ფანჯრის მოპირდაპირე სახლს კედელზე მოდებული უსურვაზის ფოთლების ჩამოცვენაზე იყო დამოკიდებული და ბოლო ფოთოლის ძირს ჩამოფართვატება მისი სიცოცხლის დასასრულის მაუწყებელი იქნებოდა, სრულად მოზყვიტა ყოფიერებას. მისი გადარჩენა შეუძლებელი ჩანდა, რაკიდა თავად გამოუტანა განაჩენი საკუთარ თავს.“ გარდაუვლობის“ წინაშე ქედოდრეკილი ჯონსი, რომელიც „წაცეულ ქანდაკებას“ დაემსგავსა, მშვიდა დ ელოდა სიკვდილს. სულით ხორცამდე შეძრულმა სიუმ, მეგობრის მდგომარეობა ქვედა სართულზე მცხოვრებ 60 წელს გადაცილებულ მხატვარს, ბუზღლუნა და არცთუ გულგახსნილ, სასმელს მიძალებულ ბერმანს გაანდო. მოსმენილით ღრმად შეშფოთებულმა მოხუცმა მხატვარმა სიუს უარი უთხრა „გამოტვინებული განდეგილის“ ცოცხალ მოდელად დადგომაზე და ჯონსის სულელური გადაწყვეტილების გამო გაბრაზებულს ისლა აფიქრებდა, ისეთი მშვენიერი გოგონა, როგორიც ჯონსი იყო, უაზრო აკვიატების გამო უბრძოლველად არ დანებებოდა სიკვდილს.

სიუს მხოლოდ ერთი საათი ჩაეძინა გამთენისას. როცა გამოილვიდა, ჯონსის გაფართოებულ თვალებს მზერა გააყოლა და... თოვლნარევი, კოკისპირული წვიმისა და მეაცრი ქარის მიუხედავად, უსურვაზს ერთი ფოთოლი მაინც შერჩენოდა. ჯონსი შეძრა და ღრმად დააფიქრა ნანახმა საოცრებამ: შემოდგომის უმწეო ფოთოლმა შეძლო, მედგარი წინააღმდეგობა გაეწია ბუნების მეაცრი შემოტვისათვის და მას რა უფლება ჰქონდა, ასე გაეფლანგა ღვთისგან მონიჭებული ის უდიდესი საგანძურო, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია. თავისი სანუკვარი ოცნების ახდენის სურვილიც დაუბრუნდა: „მე მაინც იმედი მაქვს, ნეაპოლის უბეს დავხატავ რდესმე“... აქვე... როგორ არ გაგახსენდეს ნიკოლოზ ბარათაშვილის უმარტივესი და უმშვენიერესი გენიალურობით გამოხატული სტრიქონები: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნოს“.

ჯონსისგან განსხვავებით, თავისი ოცნების აზდენის იმედი არასოდეს დაუკარგავს ბერმანს. თუმცა ჩარჩოზე გადაკრული სუფთა ტილო 25 წელი ელოდა შედევრს...


ჯონსის გამოვანმრთელებიდან ორი დღის შემდეგ მოხუცი მხატვარი გარდაცვლილი იპოვა დარაჯმა, გაყინული, სრულიად სველი ტანსაცმლით... იგი პნევმონიამ იმსხვერპლა. უკანასკნელი ფოთოლი, მედგრად რომ „შეებრძოლა“ მეაცრ სტიქიას, ბერმანის შედევრი აღმოჩნდა, რომელიც იმ ღამეს დახატა, როდესაც უკანასკნელი ფოთოლი ჩამოვარდა. აյი არასოდეს დაუკარგავს მანამდე ხელმოცარულ მხატვარს იმედი: „როცა იქნება, დავხატავ შედევრს და



### ყველა წავალთ აქედან, ღმერთო, დიახ, წავალთ!“

ყველამ იცის, რომ წუთისოფელში მუდმივად არავინ რჩება, მაგრამ ძალიან ცოტამ - თუ რისთვის მოღის ამქვეყნად. ბერმანმა იცოდა, მთელი არსებით გრძნობდა, ღვთისგან მისთვის მინდობილი „**5 ტალანტის**“ მფლობელი რომ იყო (მათე, ტალანტებზე, 25-14, 30) და რომ სწორედ ამ საუნჯის გამრავლება-რეალიზმისთვის იყო მოწოდებული. მოხუცმა მხატვარმა საკუთარი სიცოცხლის განირვის ფასად შედევრიც შექმნა და ახალგაზრდა, მშვენიერი გოგონას სიცოცხლეც იხსნა. გამართლებული იმედის წილ უფალმა ისედაც უხვად მინიჭებული ტალანტები (5) გაუორმაგა (10) ბერმანს, რითაც თვით უკვდავების „შესყიდვაც“ კი გახდა შესაძლებელი. სიცოცხლის წილ - უკვდავება! ასეთია ღვთის თვალშეუდგამი სამართალი და ზღვარდაუდები სიკეთე. ჭეშმარიტად, ბერმანს უთუოდ შეეძლო ეთქვა: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება....“ (ნ. ბარათაშვილი). მწამს, „მერანში“ აღასრულა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი ღრმად ადამიანური, ღვთიური განგებით მინიჭებული უმაღლესი მისია, ამიტომაც გახდა არც სიცოცხლისა და არც სიკვდილის, არამედ - უკვდავების ღირსი!!! დიახ, გამართლებული იმედის წილ - უკვდავება!

მჯერა, ადამიანად ყოფნის უმთავრესი ხიბლი ღვთისმიერი იმედების გამართლებაშია.

პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი... მეორედ კი, მეორედ იყო: „შეიცან თავი შენი“ (სოკრატე)!





მამა პიერ დიუმულენი

## ვიზიტორის ბიბლიური ბიბლიური

**ამ თვითან ვიწყებთ რუბრიკას ბიბლიის შესახებ. მათლობას ვუხდით მამა პიერს უურნალ „საბასთან“ თანამშრომლობისათვის. ვთხოვთ ჩვენს მყითხველებს, წარმოადგინონ ბიბლიისთან დაკავშირებული კითხვები ან პრობლემური საკითხები, რომლებზეცაც ჰასუხის გაცემას შეეცდება მამა პიერი.**

„ბიბლია“ არ არის ცალკე აღებული წიგნი, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის „ბიბლიოთეკა“, რადგანაც თვითონ ეს სიტყვა მრავლობით რიცხვშია და „წიგნებს“ ნიშნავს. მასში შესული ნაწარმოებები იწერებოდა ათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში. გვავიწყდება ხოლმე, რომ წიგნები, რომლებიც მოვითხოვენ უძველეს მოვლენებზე, სულაც არ არის უძველესი. ხშირ შემთხვევაში, თითოეული წიგნი უფრო მეტად ასახავს იმ ეპოქას, რომელშიც ის დაინტერა, ვიდრე მასში აღნერილი მოვლენების ეპოქას. ამგვარად, ბიბლიურ ტექსტებში ჩაღრმავება, იმავდროულად, ისტორიაში ჩაღრმავება.

უდავოდ, სწორედ ეს განასხვავებს ქრისტიანობას სხვა რელიგიებისაგან: ბიბლიის კითხვისას, ჩვენ შეგვიძლია ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობაში აღმოვაჩინოთ ღმრთის მოქმედების კვალი ისტორიაში. ქრისტიანობა არის არა წიგნის, არამედ სიტყვის და, შესაბამისად, სიცოცხლის რელიგია, არა გაყინული დოქტრინა, არამედ სიყვარულის ურთიერთობა.

ბიბლია ძველ და ახალ აღთქმად იყოფა. ძველი აღთქმა ბევრად უფრო მოცულობითია, ვიდრე ახალი. ძველი იწერებოდა ათას წელიწადზე მეტი წნის, ხოლო ახალი, სულ რაღაც, ასი წლის გან-

მავლობაში. ძველი აღთქმის 40 წიგნი დაწერილი იყო ეპრაულ ენაზე, ზოგიერთი მონაკვეთი კი - არამეულზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ენის, ისევე როგორც არაბულის, დამწერლობა არის კონსონანტური, ანუ ტექსტის ჩანერა მხოლოდ თანხმოვნებით ხდება. მკითხველს შეუძლია ხმოვანთა დამატება მისთვის გასაგები მნიშვნელობის მიხედვით. VII-X საუკუნეებში, ძველი ტრადიციის საფუძველზე, შემუშავდა გახმოვანების სისტემა, ე.წ. მასორა, რომელიც აღიარებულია რაბინულ წრეებში. ტექსტი ბერძნულად ითარგმნა ძ.წ. წ. III საუკუნეში, ალექსანდრიაში. ლეგენდის თანახმად, თარგმანზე მუშაობდა სამოცდაათი მწიგნობარი ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთსა და იმავე შედეგს მიაღწიეს - ყველა თარგმანი ერთმანეთის იდენტური აღმოჩნდა (სწორედ აქედან მომდინარეობს ამ თარგმანის სახელწოდება - სეპტუაგინტა).

ძველი აღთქმის სხვა შვიდი წიგნი ან ბერძნულ ენაზეა დაწერილი, ან ჩვენამდე მოაღწიეს მხოლოდ ბერძნულენოვანმა ვერსიებმა: ივდითი, ტობითი, მაკაბელთა ორი წიგნი, ბარუქი, სიბრძნე სოლომონისა, ზირაქი, აგრეთვე ესთერისა და დანიელის ნაწილები. ძველი აღთქმა საერთოა ებრაელებისა და ქრისტიანებისათვის, მაგრამ გარკვეული

განსხვავებებით. ებრაელები და პროტესტანტები მხოლოდ ებრაულ ენაზე დაწერილ ორმოც წიგნს სცნობენ, ხოლო კათოლიკები და მართლმადიდებლები აღიარებენ პირველ საუკუნეში უკვე გავრცელებულ ბერძნულენოვან ტექსტებსაც.

ახალი აღთქმა, თავის მხრივ, მთლიანად ბერძნულენოვანია. ის ყველა ქრისტიანისათვის ერთნაირია და შეიცავს ოცდაშვიდ წიგნს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტექსტების ნაწილი თავის დროზე იესოსა და მოციქულთა ენაზე - არამეულ ენაზე - იყო დაწერილი, ხოლო ჩვენამდე მოაღწიეს მხოლოდ ბერძნულენოვანმა ვერსიებმა.

სულიწმიდით შთაგონებული წიგნების სიას წმიდა წერილის „კანონი“ ეწოდება. „კანონის“ ჩამოყალიბება ადრეული ეკლესიის პერიოდში ხდებოდა და ყველა რეგიონში მალევე მოხდა ერთი და იმავე წიგნების აღიარება, ხოლო „კანონში“ არ შევიდა მრავლად არსებული სხვა წიგნები,


რომლებსაც „აპოკრიფული“ ეწოდება. ეს წიგნები შეიძლება საინტერესოა ისტორიული კუთხით, მაგრამ ღვთივშთაგონებულად არ მიიჩნევა და შესატყვისობაში არ არის რწმენის ნორმებთან.

იმის თქმა, რომ ბიბლია არის შთაგონებული, არ წიშნავს, რომ ის სიტყვასიტყვით იყო „ნაკარნახევი“ ღმერთის მიერ, მაგრამ ღმერთია მისი ავტორი, რადგანაც სწორედ იგი ავალებდა, შთაგონებდა მწერლებს, რათა შეექმნათ ის ტექსტები, რომლებიც ყველა დროის მორწმუნეთათვის რწმენის წესად იქცეოდა. ბიბლიაში თავმოყრილი ყველა ტექსტი განმარტავს ერთმანეთს, განაპირობებს ეკლესიის სწავლების ჩამოყალიბებას, რომელიც წარმოადგენს ინტერპრეტაციის ობიექტურ ნორმას. ქრისტიანისათვის, რა თქმა უნდა, ახალი აღთქმის ტექსტები და, განსაკუთრებით, სახარებები ყველაზე მნიშვნელოვანია: სწორედ იესოსა და მისი მოციქულების სწავლების შუქზე იძენს ძველი აღთქმა სრულ მნიშვნელობას.



# „ერისთანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნები“

ნუმზარ ბარდაველიძე



გამოიცა ბერნარ როტიეს, ბელგიელი ოფიცირისა და კოლექციონერის, ისტორიული ნარკვევი „ქრისტიანული რელიგიის შესახებ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში“. აღნიშნული ნაშრომი უდავოდ დააინტერესებს ფართო საზოგადოებას, რადგან პირველი გამოცემაა ქართულ ენაზე და შეიცავს ქართველი მკითხველისათვის აქამდე უცნობ ისტორიულ ფაქტებს საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეთა ყოფა-ცხოვრების შესახებ XIX საუკუნის დასაწყისში.

ბერნარ ეუენ ანტუან როტიე საქართველოში 1811-1818 წლებში მსახურობდა, როგორც კავკა-სიაში დისლოცირებული რუსეთის არმიის ოფი-

ცერი. მას, როგორც კათოლიკეს, კონსტანტინოპილის ტიტულარული პატრიარქის თხოვნით, დაევალა საქართველოში ქრისტიანული რელიგიის, უნინარესად კი, ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიის, იმდროინდელი მდგომარეობის აღწერა. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდგომ და ადგილობრივ კათოლიკურ ეკლესიაზე კონტროლის დამყარების მცდელობის გათვალისწინებით, წმიდა საყდარი საფუძვლიანად შემფოთებული გახლდათ და ცდილობდა, სანდო პიროვნების მეშვეობით შეექმნა რეალური სურათი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კათოლიკე თემის პრობლემების შესახებ. ზოგად ინფორმაციას კავკასიის კათოლიკეთა შესახებ წმიდა საყდარი იღებდა კაპუცინთა და სხვა ორდენების ნარმომადგენელი ბერების რელაციებიდან, მაგრამ მიუკერძოებელი ადამიანის მიერ შესრულებული ანალიზი უფრო სრულ და მასშტაბურ სურათს ნარმოსახავდა რუსეთის იმპერიის გეგმების შესახებ სამხრეთ კავკასიაში.

ბერნარ როტიემ კათოლიკე პატრიარქის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობა, როგორც მკვლევარმა და მორნმუნე კათოლიკემ, ნარმატებით შეასრულა. მან, სათანადო წყაროებისა და საკუთარი დაკვირვების საფუძველზე, შეექმნა ნარკვევი, რომელშიც ნარმოადგინა საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების მიერ განვლილი გზის ზოგადი სურათი. ავტორმა მეტი ყურადღება დაუთმო საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის ურთიერთობებს XIII საუკუნიდან 1818 წლის ჩათვლით. დღემდე უცნობი მრავალი ახალი ფაქტის, მოვლენისა თუ პროცესის ამსახველი ეს ნაშრომი ბერნარ როტიემ 1819 წელს ნარუდგინა „პროპაგანდა ფიდეს“.

ბერნარ როტიეს ნაშრომის გაცნობისას, ვრნმუნდებით, როგორ სიღმისეულად წვდება იგი იმ დროისათვის საქართველოში მოქმედი კათოლიკური მისიების წინაშე არსებულ პრობლემათა არსს და გამოაქვს შესაბამისი, ზუსტი დასკვნები. ბერნარ როტიეს აზრით, პრობლემა სწორედ

იმაში მდგომარეობდა, რომ კავკასიაში ადგილობრივი კათოლიკე ეპარქიული მმართველობა არ არსებობდა. იგი ფიქრობდა, რომ ამ პრობლემის მოგვარება გააძვილებდა საქართველოში კათოლიკური მისიების საქმიანობას და ხელს შეუწყობდა ადგილობრივი ეკლესიის განვითარებას, რუსული ადმინისტრაცია კი ვეღარ ჩაერეოდა კათოლიკური სამრევლოების შიდა საქმიანობაში.

1819 წელს, პროპაგანდა ფიდეს პრეფექტის, კარდინალ ფრანჩესკო ფონტანასადმი მომზადებულ დოკუმენტში, რომელიც, სავარაუდოდ, რომის პაპ პიუს VII-ისთვის იყო გამიზნული, როტი დეტალურად აანალიზეს საქართველოში მოქმედი ოთხი მისიონის საქმიანობას; მათგან თბილისი, ქუთაისი და გორი შედიოდა რუსეთის იმპერიის, ხოლო ახალციხე ოსმალეთის შემადგენლობაში, თუმცა როტისთვის და წმიდა საყდრისთვისაც ისინი ერთ კათოლიკურ სივრცედ აღიქმებოდა. ბერნარ როტი მიიჩნევს, რომ თბილისის მისიონის პრეფექტს, მამა ფილიპოს, უნდა მიენიჭოს ეპისკოპოსის ხარისხი და სამომავლოდ უნდა შეუნარჩუნდეს ეს სტატუსი, ამით მოიხსნება კონსტანტინოპოლიდან მირონის ჩამოტანის აუცილებლობა და შესაძლებელი იქნება ადგილზე მღვდლების ხელდასხმა, ასევე, კაპუცინთა ორდენის ახალციხის მისიის კაპუცინთა მონასტრად გარდაქმნა და იქ სასულიერო სასწავლებლის დაფუძნება ადგილობრივი კადრების მოსამზადებლად. გარდა ამისა, ბერნარ როტი მიაჩნია, რომ აუცილებელია აქ მოღვაწე სასულიერო პირებმა სრულყოფილად შეისწავლონ ქართული ენა. განვლილმა ორმა საუკუნემ დაადასტურა ბერნარ როტი მოსაზრებების სიზუსტე. კარდინალის წინაშე წარდგენილ რელაციაში გაუღერებული მოსაზრებები, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, ანუ რაც სახელმწიფოს მხრიდან კათოლიკე ეკლესიის დევნა შეწყდა, წმიდა საყდარმა რეალობად აქცია. ცხადია, ორ აგრესიულ და ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ იმპერიების მიერ ორად გადანაწილებულ საქართველოში წმიდა საყდარი კათოლიკების მიმართ მხარდაჭერის პოლიტიკას სრულად და შეუფერხებლად ვერ გაატარებდა.

ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი: „ბერნარ ეუენ ანტუან როტი და საქართველო“, ავტორი თსუ-ის დოქტორანტი თათია მთვარელიძე; მეორე ნაწილი - „ერისტიანობის ისტორიული გზა საქართველოში ბერნარ როტი რელაციონებს მიხედვით“ (ფაქტები, ანალიზი, დასკვნა) - ეკუთვნის პროფესორ მურმან პაპაშვილს. ბერნარ როტი ნაშრომის ორიგინალური



BERNARD EUGÈNE ANTOINE ROTTIERS,  
Naît à Anvers le 15 Août 1776.

ფრანგული ტექსტი თარგმნა ირინა სანაშვილმა, კომენტარები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ელდარ მამისითვალიშვილმა, რეცენზენტები არიან პროფესორები გონერი არახამია და ნუგზარ ბარდაველიძე.

აღნიშნული ნაშრომი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის - „ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში დაცული ქართული და საქართველოსთან დაკავშირებული წყაროების სამეცნიერო კვლევა“ - ფარგლებში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით განხორციელდა. ნაშრომის რედაქტორი, პროფესორი გიორგი სოსიაშვილი, წიგნის შესავალში აღნიშნავს: „დღემდე ჩვენი სინამდვილისათვის სრულიად უცნობი ფაქტების კვლევა-ანალიზი, მასში დადასტურებული ფაქტები თუ მიგნებები სათავეს უდებს ახალ კვლევას, რომელიც როტის მიერ საქართველოდან წაღებული სიძველეების მიკვლევის საფუძვლად შეიძლება იქცეს“.

და ბოლოს, ბერნარ როტი ნაშრომი ნამდვილად საინტერესოა, გამართული ქართულით არის ნათარგმნი, გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე და ერთი ამოსუნთქვით იკითხება. საქართველოში კათოლიკობის ისტორიით დაინტერესებული მკვლევრებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის ის მართლაც მშვენიერ საჩუქარს წარმოადგენს.

# ერთი ლექსი პალიმრაფში



2025 წლის პირველი თებერვალი დამეტედა დღებედნიერი. მზე ასხივებდა იმაზე მეტად, ვიდრე სჩვევიათ თებერვლის ქარებს. მზის დისკოდან მზე ზიმზიმებდა, და გაზაფხული გვიღებდა კარებს. იღბლიანი გამოდგა ლექსი, რომელიც მივუძღვენი გენიალურ კომპოზიტორს, ზაქარია ფალიაშვილს. ერთ-ერთ საქალაქო ღონისძიებაზე წავიკითხე და მოიწონა ზ. ფალიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა მარინე სულაქველიძემ. მან გამოთქვა სურვილი, ეს ლექსი პროექტის ფარგლებში - ერთი ლექსი კალიგრაფში შესრულებულიყო და ბინა დაედო მუზეუმში. იდეას მხარი დაუჭირა ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის წინამდღვარმა, ქუთაისის საპატიო მოქალაქემ, პადრე გაბრიელე ბრაგანტინიმ. პროექტის ავტორმა შალვა კამლაძემ იდეა სისრულეში მოიყვანა.

ულამაზესი დღეც შედგა. ზ.ფალიაშვილის მუზეუმში განთავსდა ლექსი, რომელიც ჩემი სუთქვის მარადისობაა. ამ ბედნიერების პიკზე ასვლაში თანამდგომი გახლავთ უახლოესი, უბილესი უნიჭიერესი, მნერალი, პოეტი, უურნალ-

ისტი, საზოგადო მოღვაწე, ხელოვანი, ულამაზესი ქალბატონი, წამყვანი და ორგანიზატორი, მშვენიერი ნათია ჯიმშელეიშვილი. უდიდესი მადლობა, ჩემო ნათათო, მითიურო ფასკუნჯო, ფრთახატულავ და თვალხატულავ. მადლობას ვუხდი მხარდაჭერისთვის ა(ა)იპ ქუთაისის მერიის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელს, ბ-ნ ვაჟა ჯულელს. მადლობას მოვახსენებ ფოტოხელოვანსა და მეცენატს, ბ-ნ თემურ ნიკოლაძეს. მადლობა მობრძანებულ სტუმრებს, ბ-ნ თემურ ძიძიგურის ულამაზეს ოჯახს, ნინო და მარიამ ძიძიგურებს, მათი ულევი სიყვარულისათვის. მადლობა პოეტ გურამ გოცირიძეს. უსაზღვრო მადლიერება ჩემს ერთგულ მეგობრებს, ნანა მიზანდარსა და ლალი ჩარკვიანს. მადლობა ქალაქის გამორჩეულ უურნალისტს, ლელა ცეცაძეს.

**უკიდეგანო სიყვარულის ცის კაბადონზე,  
სადაც იფრქვევა მუზა და ლექსი,  
სამადლობელი მინდა მათ ვუთხრა,  
ჩემს პოეტებს რომ იქა აქვთ ფესვი.**

მადლობა პოეტებს: ირინა შანიძეს, ქეთი ცირკეიძეს, ნინა გაჩერჩილაძეს, ლელა ასათიანს, ბესო თოდრაძეს. ასევე, მადლობა ქეთი ფოჩხუას და ბატონ გოჩა გაჩერჩილაძეს.

**ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში,  
ფურუსულები აყვავებულან,  
პირველ თებერვალს სულის ემბაზში,  
სულ სიყვარულში გაღვივებულან.**

**კდემამოსილი სხვა ამპლუაში ერთი  
ლექსისთვის გაიხსნა კარი,  
ეთიფარიე რიონისპირელს  
ესმოდა ციდან ხმა უფლის ზარის.**

გმადლობთ! უსასრულობამდე, ჩემო უტკბესოთანამეინახენო! დაე, მზის სხივები, გულის სითბო ერთმანეთის გვათბობდეს, ერთად ყოფნით, თანადგომით სიყვარული გვათოვდეს.


ერთი ლექსი კალიგრაფში სახალხო საზეიმო პროექტია, ქართული პოეზიის საკალმეთია. მადლობა თავად შალვა კამლაძეს.

ეთიფარიე რიონისპირელი

# დიაკონ ანთონ ხითაროვის მახსენება

„უფალი პირად კავშირს ამყარებს ადამიანებთან. მას ყოველი ადამიანის მიმართ კონკრეტული ჩანაფიქრი აქვს და თითოეულს ძვირფას ძლვენს, ნიჭს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს უბოძებს, რაც მას უნიკალურს ხდის. თითოეულისაგან პასუხს ითხოვს, რომ სრულად შეძლონ თვითრეალიზება და მთელი კაცობრიობის სამსახურში ჩადგნენ“, - ასე დაიწყო თავისი ქადაგება მამა დანიელმ, კვირადღეს, შრომაში. ეს სიტყვები გამოძახილია იმისა, რასაც დიაკონი ანტონი ხშირად იმეორებდა: „მე ისეთი სიმდიდრე გამარჩია, რომლის მოპარვაც არავის ძალუძს“. ეს იყო მთელი მისი ცხოვრების დევიზი, ამ დევიზით პასუხობდა იმ მოწოდებას, რაც ღმერთმა უბოძა; ამ დევიზით ცოცხლობდა, არასოდეს უღლალატია მისთვის. მისი სულის უმთავრესი ნაწილი იყო ბიბლია. ღვთისადმი სიყვარული, რწმენა და იმედი მზესავით უნათებდა და უწინამძღვრებდა მას კათოლიკეთა საკრებულოებში ღვთის მოძღვრების ჭეშმარიტების შესაცნობად. მისი დაუღლალავი შრომა და წრფელი ღვანლი ღმერთმა უპასუხოდ არ დატოვა. მან სრულად უპასუხა თავის მოწოდებას, მთელი თავისი საუკეთესო თვისებებით, რათა ხორცი შესხა მისთვის. მისი პასუხი იყო სავსებით გამოვლენა იმ ნიჭისა, რომელიც მას ღმერთმა უბოძა.

დღეს, 10 თებერვალს, ანტონის ოჯახში, შრომის საკრებულოს თითქმის ყველა წევრის თანდასწრებით, აღევლინა წირვა და აღინიშნა მისი გარდაცვალებიდან სამი წლისთავი, მამა დანიელესა და და ანა მარიას შემწეობით. მისი ოჯახისა და მთელი საკრებულოს სახელით, ულრმეს და გულწრფელ მადლობას ვუხდით ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს, მამა დანიელს, და ანა მარიას და მთელ სამღვდელო დასა ანტონ ხითაროვის მოხსენებისათვის. მადლობელი ვართ ღმერთის ჩვენს ეკლესიაში მისი ხსოვნისათვის.



„ვილოცოთ განსაკუთრებულ მოწოდებათათვის და, ასევე, იმისთვის რომ ყველა მონათლულმა განახორციელოს თავისი მოწოდება, რადგან ყოველი მცირედ გაღებული წვლილი ეკლესიას უფრო მეტად განწმედს და უფრო სრულყოფილს გახდის თავად ადამიანის ცხოვრებას“ (მამა დანიელეს ქადაგებიდან).

ამ საიუბილეო წელს, როგორც იმედის მომლოცველებმა, განვაახლოთ ჩვენი ნდობა უფალში, რომელიც ჩვენ გვერდით მოაბიჯებს და ძალას გვმატებს, რათა განვმტკიცდეთ რწმენაში.

სერფუნ ხითაროვი

## განსვენება საუკუნო მიანიშვ მათ, უფალო!



დაია თჩელიძე  
\* 15. 03. 1935, თბილისი  
† 18. 01. 2025, თბილისი



სოფიო კაკაჩველიძე  
\* 15. 07. 1941, ახალციხე  
† 25. 01. 2025, ვალე



ვახოვანე ჩიტავილი  
\* 13. 07. 1937, ვალე  
† 24. 01. 2025, ვალე



ეზო ჩილიგებარავილი  
\* 18. 11. 1940, არალი  
† 05. 02. 2025, არალი



ივლია ჩიტავილი  
\* 27. 07. 1934, ვალე  
† 08. 02. 2025, ვალე

მარიამ, იმედის დედავე,  
 სასოფლით მოგენდობით შენ.  
 შენთან ერთად გვსურს მიუყვეთ  
 კაცთა მაცხოვარ ქრისტეს  
 ჩვენს ამჟღვეუნიურ მოგზაურობაში:  
 დალლილობაში არ დაგვამძიმოს  
 და შრომაში არ შეგვანელოს,  
 სირთულეებში არ ჩატაროს  
 სიმამაცე და სევდაშ  
 გულის სიხარული.

შენ, მარიამ,  
 მაცხოვრის დედავე,  
 კვლავ და კვლავ გვეჩვენე  
 ყოველთა დედად.  
 იდარებულ ჩვენს გზაზე  
 და დაწესდარე შენს შვილებს,  
 რათა ჰქოვონ ქრისტეში გზა  
 საერთო მამათან  
 დასაბამოუნებლობდ!

თმენ.

